

დადგენილება № ცვ-0991-22  
გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის  
დადების შესახებ

ქ. ქუთაისი,

22 დეკემბერი, 2022 წ.

1. დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი): სს. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ფილიალის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი კომისიის თავმჯდომარე ტარიელ შვანგირაძე.

2. საქმის განხილვის თარიღი: 2022 წლის 22 დეკემბერი.

3. ცნობები პირის შესახებ, რომლის მიმართ განიხილება საქმე:

ფიზიკური პირი ვენედიქტე სალდაძე, პირადი № 53001015167, დაბ. 1985 წლის 21 ოქტომბერს, მის. ქ. თბილისი, ვახტანგ ნინუას ქ. № 3, ფაქტ. მის. ქ. სამტრედია, სანაპიროს ქ. № 7, ტელ.: 571 23 88 34.

4. საქმის განხილვისას დადგინდა შემდეგი გარემოებები:

2022 წლის 28 ნოემბერს, ქ. სამტრედიაში, სანაპიროს ქ. № 7-ში, აბონენტ მზია სალდაძის აღრიცხვის კვანძის შემოწმებისას დაფიქსირდა ელექტროენერგიის უკანონო მოხმარება. კერძოდ, აბონენტს 8 სექტემბერს დავალიანების გამო შეუწყდა ელექტროენერგიის მიწოდება, რა დროსაც მრიცხველის ჩვენება იყო 8742, ხოლო 28 ნოემბერს გადამოწმების დროს მრიცხველი აღნიშნულ მისამართზე მცხოვრები ვენედიქტე სალდაძის მიერ ჩართული იყო თვითნებურად და დაფიქსირდა წინწაწეული ჩვენება 8762, რაც ადმინისტრაციული კანონმდებლობით დასჯადი ქმედებაა. აბონენტს იმავე დღეს შეუწყდა ელექტროენერგიის მიწოდება დავალიანების სრულად დაფარვამდე. ვენედიქტე სალდაძის მიმართ 21.12.2022წ. შედგენილ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ას № 009672 ოქმს ხელს აწერს სამართალდამრღვევი, იგი აღიარებს სამართალდარღვევის ფაქტის არსებობას და განმარტავს, რომ არ ეგონა დავალიანება თუ ჰქონდა, სახლში დიდი ხანი არ იმყოფებოდა და მრიცხველი ჩართო თვითნებურად, რაც შემდგომში არ განმეორდება. საქმის განხილვაზე სამართალდამრღვევი არ გამოცხადდა. ვენედიქტე სალდაძე არ არის ადმინისტრაციულად სახდელდადებული, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით. საქმეში ასევე წარმოდგენილია 21.12.2022წ. აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი № A1055151 და სამართალდარღვევის ფაქტის ამსახველი ფოტოსურათი, რომლებითაც დასტურდება ვენედიქტე სალდაძის მიერ ელექტროენერგიის მოხმარება აღრიცხვის წესების დარღვევით. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზეც დგინდება სამართალდარღვევის არსებობა/არ არსებობა, თუ პირის ბრალეულობა მის ჩადენაში. განსახილველ შემთხვევაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის საკმარისი მტკიცებულებებია წარმოდგენილი (სამართალდარღვევის ოქმი, აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი, შსს საინფორმაციო-ანალიტიკური

სს "ენერგო-პრო ჯორჯია"

დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, აბონენტის ბარათი, სამართალდარღვევის ფაქტის ამსახველი ფოტოსურათი), რომელთა მეშვეობით დგინდება ვენედიქტე სალდაძის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი-ელექტროენერჯის მოხმარება აღრიცხვის წესების დარღვევით. ამასთან დაცულია იმავე კოდექსის 38-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ადმინისტრაციული სახდელის დადების ორთვიანი ვადა და 240-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის წესი, რომლის დროსაც ვენედიქტე სალდაძემ მისცა ახსნა-განმარტება, გაეცნო ოქმის შინაარსს და ჩაიბარა მისი ასლი.

5. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვიხელმძღვანელებ რა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით, მე-10, 38-ე, 228<sup>2</sup>-ე, 236-ე მუხლებით, სემეკის 28.06.2021 წ. №19 დადგენილებების 33-ე მუხლით, 12.08.2010 წ. №14 დადგენილებით, ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ გენერალური დირექტორის 29.06.2022 წ. EPG RU №2022007 წესით და ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის 10.10.2022 წ. EPG OR № 2022037 ბრძანებით,

და ვ ა დ გ ი ნ ე:

6. ფიზიკური პირი ვენედიქტე სალდაძე, პირადი № 53001015167, ცნობილი იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის და დაედოს ადმინისტრაციული სახდელი - გაფრთხილება.

7. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, იურიდიული პირისა და დაწესებულების დაჯარიმებას - 15000 ლარის ოდენობით.

8. სპეციალური საექსპერტო დაწესებულებისა (ექსპერტისა) და თარჯიმნისათვის ასანაზღაურებელი მომსახურების ხარჯების კომპენსაციის საკითხი: \_\_\_\_\_

9. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარისათვის მისი ჩაბარებიდან/საჯარო გამოცხადების გზით ჩაბარებულად ჩათვლიდან 10 (ათი) დღის ვადაში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (მის. ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. №19).

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:



ტარიელ შვანგირაძე,  
კომისიის თავმჯდომარე